8 (20) ივლისი, 1866.

№ 19.

პირველი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

...ზავნით ...ფილისში		
...ა გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ:
...ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
...ის თვისა	— 6 —	— — — 5 —
...ეგრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
...ის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

...ალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, შელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, კ. ზუბალოვის სახლში.—

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება

პირველისავე ნუმრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ფული.

ამ ნუმერში არის: მმართებლობის განკარგულება.—სამმართველოსაგან, რომელიც კავკასიის აქეთის რკინის გზას აკეთებს. — სამეგრელოს სამმართველოს რჩევა. პოლიტიკა: — იტალია.—ესპანია. — ...ინოეთის ამერიკის შტატები. ტელეგრამმები. ...ლიტერატურო ნაწილი.—ისტორიული მოძ...ება გ. ნათლებისა. რედაქციისაგან.

მმართებლობის განკარგულება.

სამმართველოსაგან, რომელიც კავკასიის აქეთის რკინის გზას აკეთებს.

სამმართველო, რომელიც კავკასიის აქეთის რკინის გზას აკეთებს, გამოუცხადებს ზედ და ქვემო ავჭალის მიწის მეპატრონეებს, რომ მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დამტკიცა ფასი იმ ადგილებისა, რომელნიც რიან ჩამოჭრილნი იმათ მიწებზედ, ვენახებზედ და შენობაებზედ, და რომელნიც რკინის გზას მოუნდება. ამისთვის უ.უ. მიწის პატრონენი უნდა გამოცხადდნენ ტფილისის მსჯავრო პალატაში, რომ გაყიდვის წერილი დაამტკიცონ. ამ საქმეში დასასწრებად რკინის გზის სამმართველოს მხრით არის დანიშნული კოლლეჟსკი სოვეტნიკი ვალიცკი.

სამეგრელოს სამმართველოს რჩევა გამოაცხადებს, რომ 2 ოკტომბერს ფოთის ...ატუშაში (ვაჭრების სამმართველოში), ...ჩევის წევრის თანა-დასწრებით, მოხდება ...ტორგი იმაზედ, რომ ქალ. ფოთს ორი ...ლის განმავლობაში ხორცი არ შემოაკლონ. ამის პირობაები მოკლეთ ესენი არიან: ...ორცით ვაჭრობა ქალაქში თავისუფალია, მაგრამ ვისაც კონტრაქტით შეეკვრიან ამაზედ, იმას ნება აქვს მიიღოს ქალაქიდგან წითვე ათასი მან., ნამდვილის გირავობებით, ...სარგებლოთ, და ამის გარდა საძოვარი და ...ბი მიწები. წერიმალს ხორცის ვაჭრობაში შეიძლება კონკურენცია. როგორც კონტრაქტის შემკვრელმა, ისე სხვა თავისუფალ...ასებმა უნდა აასრულონ ის კანონები, ...ომელნიც ქალაქში არიან დაწესებულნი საქონლის ხოცვის შესახებ.

პოლიტიკა.

იტალია. **ალტაცება ომის გამოცხადების გამო იტალიაში.** ფლორენციიდამ სანაციონალო გაზეთში სწერენ: ომის გამოცხადებამ დიდი და ცხოველი სიხარული აღძრა. იტალიამ გამოუცხადა ომი ავსტრიას 20 ივნისს; ფლორენციამ, რომელიც მოუთმენელად ელოდა ამ ამბავს, როგორც კი მიიღო ის, იმავ წამს ფლაგებით (ბაირაღებით) მოირთო; მაგაზინებზედ და დუქნებზედაც კი გადმოჰკიდეს სამფეროვანი დროშა. 20 ივნისის მანიფესტის გამო იტალიის პარლამენტის ორივე პალატაში დემონსტრაცია მოხდა. „ხუთასის“ ზალაში შეიკრიბნენ ყველა დეპუტატები. ისინიც კი დაესწრენ, რომელნიც სიაში იყვნენ ჩაწერილნი ამ რიგათ: „არ არის იმისთვის, რომ ჯარშია“ ანუ „არ არის იმისთვის, რომ ვოლონტერათ წავიდა.“ ახალმა მინისტრმა—პრეზიდენტმა რიკაზოლიმ ყრილობა დაიწყო ამ სიტყვებით: „იტალიამ გამოუცხადა ომი ავსტრიის იმპერიას!“ დეპუტატები იმავ წამს წამოხტნენ თავთავიანთს ადგილიდგან და ტაშის-კვრა დაიწყეს, ქალები ცხვირსახოცებს იქნეედნენ და ძველის ზალის კედლები შეიძრა დამაყრუებელის ხმითა: „ღმერთმან კაროლს გაუმარჯოს, ღმერთმან იტალიას გაუმარჯოს“. სენატშიაც ამ გვარი ამბავი მოხდა. ქალაქის ყოველს კუთხეზედ იყო მიკრული ღენერლის ჩიალდინის ბრძანება, რომელიც იმან გასცა 4-ხე კორპუსში.

პატრიოტული მდგომარეობა იტალიისა. ბოლონიიდამ, 22 ივნისს ერთს ფრანცუზულს გაზეთში „Temps“ სწერენ: „მე დავტოვე რომი 21 ივნისს დილის ექვსს საათზედ. საღამოს იმავე დღეს ბოლონიაში ვიყოფი. პაპის საზღვრიდამ დაწყებული მთელი გზა სულ ყვირილი და სიმღერა მესმოდა. სტანციებზედ და გზებზედ ბარიბალდიზედ და კაროლზედ ყვიროდნენ; ყველგან პატრიოტულს სიმღერას ამბობდნენ. ჩვენ და ვოლონტერები გზაზედ ერთად მოვდიოდით. 12 საათის მგზავრობაში იმათი ხმა არ გაწყვეტილა. ისინი შეუსვენებლათ მღეროდნენ ხან: მშვიდობით, თეთრო ხუჭუჭიანო! ხან: გაიხსენ ბასამარე! ხან: წითელო პერანგო და სხვა.

—ფლორისს ამბობდნენ, რომ ერთმა მეპურემ ცხრა თავის შვილი გაგზავნაო ვოლონტერად. ანკონაში შევხვდი ჩემს ნაცნობს ბარიბალდიელ აფიცერს. არ ვიცი, იქნება რიგიც არ იყოს დაბეჭდვა იმ სიტყვებისა, რასაც აქ ამბობენ. აქ ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ ეს ვოლონტერები ამ ცოტას ხანში ტრიესტს უნდა გავიდნენო, იტალიის ფლოტი კი ჯერ ტარენტოსა და ბრინდიზასთან დგას. იმას უჭირავს ადრიატიკის ზღვის შესავალი და გუშინ კიდევ არ იყო წასული ჩრდილოეთისკენ.

ღენერალი ჩიალდინის პროკლამაცია თავის საწინამძღოლო კორპუსთან. ღენერალმა ჩიალდინიმ გასცა შემდეგი ბრძანება 4-ხე არმიის კორპუსს:

„ჩვენ კვლავ ავიღებთ ხელში თოფ-იარაღს კაროლის ვიკტორ-ემმანუილის მფარველობის ქვეშ. ჩვენ არ განგვიძრახავს სხვა ქვეყნების დაპყრობა, არც ვისიმე დამორჩილება. ჩვენ მხოლოდ უბედურის ვენეციის განთავისუფლების მეტი არა გვსურს რა. ის არის საკუთარი იტალიის მიწა და არა ავსტრიისა. ჩვენი განზრახვა მარტო ის არის, რომ მტკიცედ დავამყაროთ ჩვენის სამშობლოს ერთობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ეს მოვალეობა—არის წმინდა პატრიოტული მოვალეობა ყველა სულ-გრძელის იტალიის მოქალაქისა. ჩვენს მხარეზედ არის იმათი სურვილი, რომელთაც გული უცემს, როცა კი სამშობლოს ტკბილს და სანატრელს სახელს გაიგონებენ.—როგორც კი ახარეს ყველას, რომ ეს სასურველი და სასიქადულო საქმე იწყება, იმ წამსვე სრულებით მოისპო სამუნიციპალო და პოლიტიკური განხეთქილება, მტრობა სხვა და სხვა პირებს შორის და უთანხმობა პარტიებში. ჩვენ ყველამ ძმურად მივაწოდეთ ერთმანეთს ხელი და ამით წარმოვადგინეთ უმაგალითო სანახავი და მოსასწავებელი საქმე, რომელიც უჩვენებს იტალიას, რა რიგათ უნდა გაძლიერდეს იგი, თუ ამას მოინდომებს.

„მაშ შეიარაღდით! ჩვენი წმინდა განზრახვა, ჩვენი ძლიერი საშუალება და ჩვენი თანხმობა აღგვითქვამს გამარჯვებას და ჩვენ უნდა იგი მოვიპოვოთ. შეიარაღდით!

„დაე მტერმა სთქვას ამპარტავნული და საშუქარო სიტყვები. ამპარტავნული და რისხვის სიტყვები არას დროს არ ამტკიცებენ ძალას და სიმართლეს. მოვიგონოთ ჩვენ, გულის სიმშვიდით, რომ ჩვენი დროშა მთელს იტალიაში, ტურინიდამ დაწყებული მარსა[illegible] [illegible] [illegible] [

ცებს, რომ ავსტრიელები რიცხვით უფრო ბევრნი ყოფილან იტალიელებზედ.

ტ რ ი ე ს ტ ი ს ა დ ა ი ს ტ რ ი ი ს დ ე პ უ ტ ა ც ი ა ი ტ ა ლ ი ა ს თ ა ნ. ფლორენციიდამ სწერენ: 24 ივნისს ბარონმა რიკაზოლიმ მიიღო ტრიესტისა და ისტრიის მოქალაქეების დეპუტაცია, რომელმაც წარუდგინა იმას ადრესი. ამ ადრესში ზემოთ მოხსენებულის ადგილების მცხოვრებლები აცხადებენ სურვილს იტალიის საკროლოსთან შეერთებისას.

—იტალიის არმიის შტაბ-კვარტირიდამ, 25 ივნისს, აი რას იწერებიან: „ბუშინ დილას, კროლის არმიის მარცხენა მხარე და ცენტრი (შუა გული) როგორც კი მინჩიოს გალმა გავიდა, იმავე წამს ვალლეჯიოსა და ვილლაფრანკას მიჰმართა. ავსტრიის არმია მთელის თავისის ძალით ამ ჯარებს დაეცა. რამდენჯერმე პოზიციას (ასპარეზს) ხან ერთი ართმევდა და ხან მეორე. კროლის ჯარმა გამოიჩინა ბევრი მხნეობა მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მტერი კი ბევრით უფრო მომეტებული იყო. საღამოს კროლის ჯარს ისევ ხელში ეჭირა ბოიტო და ვალლეჯიო. დღეს კროლის ჯარს უნდა, რომ დაიცვას მამაცურად ბოიტო, ვოლტა, კავრიანო და სოლფერინო. ჩვენ ბუშინ ბევრი დიდი ზარალი ვნახეთ. პრინცი ამადეი, ღენერალი ჩერალე და ბევრი სხვა შტაბ-ოფიცრები მძიმეთ და მსუბუქათ დაიჭრენ. ღენერალი ვილლარეი მოგვიკლეს. პრინცმა ღუმბერტმა საკვირველი მხნეობა გამოიჩინა. პრინცის ამადეის დაჭრილობა არ არის ძლიერ სასაშიშრო. მექვსანი ავსტრიელი ოფიცრები და სალდათები მილანს ტყვედ გაგზავნეს.

ომიანოგბის ამბავი იტალიიდამ. კელნის გაზეთის კორრესპონდენტი, რომელიც იტალიის არმიას ახლავს, ბოიტოდამ იწერება 25 ივნისს ამ ამბაეს: 1859 წლის აქეთ გუშინ პირველად მოუხდათ იტალიის ჯარებს ავსტრიის არმიასთან შეტაკება. იტალიელებდი წელიწადი იმათთვის უქმად არ ჩავლილა და ბევრი რამ შეუძენიათ ამ ხნის განმავლობაში. ღენერალი ქუჯია შეხვდა ქუსტოცის გარემოს თავისის დივიზიით ავსტრიის ჯარებს. ავსტრიელები ვერ გამაგრდნენ პირველს დაჯახებაზედ და უკან დაიწიეს სოფელს სომმა-ქომპანიას, რომელიც მთის წვერში მდებარებს, რკინის გზის მახლობლიე. ის იმყოფება შუა გზაზედ პესკიერიდამ ვერონას. ავსტრიელებს მიეშველა ახალი ჯარი პესკიერიდამ, მაგრამ გამარჯვება მაინც დიდხანს არც ერთისაკენ არ იყო. მაშინ, როდესაც იტალიელები და ავსტრიელები იბრძოდნენ ბეასტალლასთან და სომმა-ქომპანიასთან, ერთმა იტალიის რაზმმა, რომელიც 8 ათასს კაცს შეიცავდა, მოახდინა ფლანგური მოძრაობა და დაატოვებინა პოზიცია, რომელიც ეჭირათ იმათ მაღლობზედ. ავსტრიელებს სხვა ჯართან გაცალკევების ფიქრი მიეცათ და უფრო ამის გამო დასტოვეს თავისი საომარი ადგილი. ისინი ჩამოვიდნენ ხეობაში, მაგრამ აქ იტალიის ბატარეიამ იმათ სასტიკი ცეცხლი გაუჩინა. ეს ბატარეია ძალიან კარგ ადგილზედ იყო მოწყობილი. ავსტრიელებმა დიდი ზარალი ნახეს. ნაშუადღეეს 4 საათამდის ამ გვარს მდგომარეობაში იყო იმათი საქმე; ავსტრიელები აპირებდნენ უკან დაწევას, მაგრამ ამ დროს იტალიის მხედართმთავარს ანბავი მოუვიდა, რომ ავსტრიელების მისაშველებლათ ვერონით ახალი ჯარი მოდისო. ღენერალს ქუჯიას თავისის დაღალულის ჯარის მეტი სხვა არ ჰყავდა, რომ ამ ახალს ჯარზედ გამოეყვანა და უმთავრესის იტალიის არმიის იმედი კი არა ჰქონდა. ამ დროს ოთხი ავსტრიის ბატარეიაც შეუერთდა ვერონიდამ მოსულს ახალს ჯარს და იტალიის არმიაში ყუმბარა და კარტეჩი წვიმასავით მოდიოდა. ცოტა ხნობით იტალიის ჯარი აირია. საომრად მომზადებულმა სალდათებმა თავთავიანთი ზურგ-საკიდები მოიხსნეს და ჩასდვეს ფურებში, რომელნიც ფლანგებზედ იყვნენ დაყენებულნი. მიუცილებლათ ავსტრიელები დაიპყრობდნენ ამ ბარგსა. იტალიის არმიამ დაიწყო უკან დაწევა და, რადგან სხვა მისაფარავი არა ჰქონდა რა, ამისთვის არტილლერიის ზარბაზნებით იცავდა თავისს უკან გაბრუნებას. ის სამს ადგილზედ გავიდა მდინარე მინჩიოში: ფორნელლზედ ვალეჯიოსკენ, ფორრანზედ პოცცოლოსა ფერრისკენ და ვასსინბონაზედ ფალლოლისკენ. ცა მოიღრუბლა და სიცხეც შემცირდა. ჯარი მკვიცრცხლად მოდიოდა და მუზიკის ხმაზედ მღეროდა ბროფფერიოსგან შეთხზულს ღიმნსა.

— დეპუტატთ პალატის შეკრებილებაში, 6 (18) ივნისს, მაძინის ამორჩევა იტალიის ქალაქ. მესსინაში იყო გაუქმებული 146 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 45 ხმისა.

ისპანია. მადრიდი, 11 (23) ივნისს. ბუშინ დილას მადრიდში, ისპანიის სატახტო ქალაქში, ორი არტილლერიის პოლკი განუდგა მთავრობას. ბევრმა დაბალის წოდების კაცებმა აღაგეს ბარრიკადები. (ბარრიკადი არის სიმაგრე, აგებული ქვებისაგან, ხეებისაგან და ყოველის ფრისგან, რაც კი ხელში მოხვდება განდგომილს ხალხს, რომ ქალაქის გზებში ჯარს თავისუფალი მოძრაობა აღუკრძალოს). გარნიზონის ნაწილი, რომელიც არ განდგომია მმართებლობას, დაეცა მოწინააღმდეგებს, წართვა იმათ ზარბაზნები და ექვსასი კაცი მოკლა.

საღამოს ექვს საათზედ მშვიდობა ისევ დამყარდა. სხვა ადგილზედაც აღარსად მომხდარა აღრეულობა.

—მადრიდის განდგომა. ბავასის საგენტო 24 ივნისს მადრიდიდამ იწერერება შემდეგს დეპეშას:

„მადრიდი, დილით 24 ივნისს. მადრიდი მშვიდობიანათ არის. მცხოვრებლებს [illegible] ლოზნიას შიდის და მარშალი სერრანო ანდალუზიას.“ (ეს ორი მხარე ისპანიის მაზრები არიან).—როგორც სჩანს, ღენერალი პრიმი მშვიდობით გადასულა საზღვარზედ; 24 ივნისს ის უნდა მისულ იყო ჯირონის ციხეში ქატალონიას; ამ ციხის გარნიზონს იმის მხარე უჭირავს.—ფრანცუზულს გაზეთში („Le Temps“) მადრიდიდამ იწერებიან: ღღეს ექვს საათზედ მე გამომაღვიძა გამდგარ ხალხში თოფის სროლამ. ახლა ცხრის ნახევარია, ქუჩებზედ მოძრაობა მიწყნარდა, მხოლოდ ქუჩების კუთხეებში კი ისევ ხალხი გროვდება. ყოველის ფერი ამტკიცებს, რომ მოქმედების პლანი წინათვე ყოფილა მომზადებული. ალაგ-ალაგ, სადაც ქუჩები არის გადაჯვარედინებული, 8-დამ 10-მდის შეიარაღებული კაცები დგანან. ჯერ კიდევ მზადებაში არიან. ჩვენის კვარტალის გარშემო ბარრიკადებს აშენებენ. მაჩხუბარნი არიან ორგვარნი: ერთი არის-სწავლული ხალხი, რომელიც უწინდელს ლიბერალებს შეადგენენ და რომელნიც უწინ საინაციონალო გვარდიაში მსახურებდნენ. იმათი თავი ბურჟუა (მოქალაქეობა) არის. მეორე კი უბრალო ხალხია. ერთს გროვას იმათში შეადგენს ხუთმეტისა და თვრამეტის წლის ყმაწვილ-კაცობა. ხალხში ამ გვარათ ყვირიან: ვივატ პრიმს! ბაუმარჯოს თავისუფლებას! ღენერალს ოდონელს სიკვდილი! ზოგი ბარრიკადი არის ხის ტოტებით აგებული, იმათში ჩატანებულია ლეიბები და გარშემო ქვები აქვს შემოწყობილი, ზოგი კი მარტო ქვებით არის აშენებული. ხალხში ერთი მეარტილლერიე შევნიშნე. მარჯვნით და მარცხნით თოფის სროლაა.

როგორც სჩანს, მმართებლობას ფიქრშიაც არა აქვს რამე განკარგულება მოახდინოს და ყოველივე ამტკიცებს, რომ ის ცუდს მდგომარეობაშია.

ზოგიერთი კაზარმები შემოზღუდულია. ეტყობა, რომ ყოველის ფერი მომზადებული საბრძოლად.

თერთმეტის ნახევარია. ოთხი ზარბაზანი მოიტანეს და ბატარეია გამართეს. ამბობენ, რომ სან-მატტეოს კაზარმა უჩხუბრათ დანებდა ხალხსა. უფრო ხშირად ასე ყვირიან. ვივატ (გაუმარჯოს) პრიმს! რამოდენიმე კაცი დაიჭრა; როგორც ისმის ერთი პოლკოვნიკი მოკლეს იმდროს, როდესაც ის კაზარმაში მიდიოდა. ერთს ქალს თოფით ფეხი მოამსხვრიეს. ამ ჟამად, როგორც ეტყობა, ჯარი მოდის, ამისთვის რომ თოფის სროლა გახშირდა და ხალხი ბარრიკადებზედ მირბის.—ბრძოლა დაიწყო. განსაკუთრებით დიდი ბრძოლა არის ორის ქუჩის შუა—ბორტალსეა და ანხა-დე-სან-ბერნარდოს შუა.—

მეორის ნახევარია. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა გათავდა. ქუჩები ლინიის ქვეითმა ჯარმა და გუსარის რაზმმა დაიჭირა.—ბოლაკის ქუჩის კუთხეში რომ ზარბაზნები იდგნენ, ყველანი რკინებით დაჭეტეს, რადგანაც მეარტილლერიენი ძაბუნათ ისვრიდნენ და ეჭირათ განდგომილების მხარე. იმათ ექვსჯერ მეტად არ გაუსროლიათ. შორს კიდევ ისმის თოფის სროლა, განსაკუთრებით იმ მხარეზედ, საითაც გზა მიდის ფრანციას.

სამს საათს თოფის სროლა თან და თან წყნარდება.—ოთხს საათს სრული მყუდროებაა; ქალაქი შეძრწუნებულს მდგომარეობაშია.—ამ ამბავს ერთი ფრანცუზის გაზეთიც („La France“) დაუმატებს შემდეგს ცნობას, რომელიც იმას მადრიდიდამ წინგნით მიუღია. „ინსურგენტები (განდგომილნი), რომელნიც იყვნენ მხედართმთავანნი, ყვიროდნენ: ვივატ პრიმს! ქაროლის ჯარი—ვივატ ქაროლევას! უბრალო ხალხი კი ამბობდა: „ბაუმარჯოს რესპუბლიკას!“.

ჩრდილოეთის ამერიკის შტატები.

ნუ—იორკი, 26 მაისს (7 ივნისს). პრეზიდენტმა ჯონსონმა გამოსცა პროკლამაცია [illegible] პრეზიდენტი სთხოვს ყველა კეთილ-მოსურნე ამერიკის მოქალაქეს, რომ არა ვითარი შეწევნა არ მისცენ ფენიელებს და იმათ ექსპედიციას, რადგანაც ეს ექსპედიცია ბოროტი და მავნებელი კაცების საქმეა, და ჩვენის სახელმწიფოდგან მიემართება ბრიტანიის კალონიების წინააღმდეგ. ამნაირი საქმე არის დარღვევა იმ სიმართლისა, რომელიც ხალხებს შორის არსებობს და ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების კანონებს.

პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ ამერიკის მოხელეები მოიხმარებენ ყოველს ღონის-ძიებას, რომ მისცენ სამართალში ის კაცები, რომლებიც არ დაემორჩილებიან იმათ მიწერილობას. ამის გარდა ღენერალს მიდს პრეზიდენტისგან მიეცა ნება, რომ იმან მოიხმაროს ზღვის და ხმელეთის საომარი ძალა, რომ ჩაშალოს ეს ექსპედიცია.

ღენერალი სიუნე საფედერალო არმიამ შეიპყრა 25 მაისს (6 ივნისს). მეორე დღეს ნუ-იორკში დაიჭირეს ფენიელების რჩევის პრეზიდენტი რობერტსი.

მმართებლობამ გასცა ბრძანება, რომ საჩქაროთ შეიპყრან იმისთანა ფენიელები, რომლებსაც დიდი ძალა და გავლენა აქვთ. ბუფალოში დაჭერილი ფენიელები გაათავისუფლეს; აგრეთვე გაათავისუფლეს იმათი აფიცრები სხვა კაცების თავდებობით.

რიჩმონდის სამსჯავროს შეკრების (სესსიის) ვადა არის დანიშნული მომავალს ოკტომბერს, პირველს სამშაბათს. მაშინ შესრულდება ერთი წელიწადი, რაც ჯეფერსონი დევისის ღალატობის საქმე შეიტანეს სასამართლოში. დევისის ადვოკატი (მოსარჩლე) მიდის ვაშინგტონში, იმ განზრახვით, რომ ეცადოს გაათავისუფლონ ჯეფერსონი სხვა კაცების თავდებობით.

ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი ს ბ ი ულ ე ტ ი ნ ი

პეტერბურგში მიღებული.

ვენა, 16 (28) ივნისს. როდესაც მეექვსე კორპუსი სკალიცს მიუახლოვდა, მაშინ იმ პრუსსიის პრინცის არმია დაეცა. ბრძოლა გაგრძელდა ხუთს საათს და პრუსსიელებმა ერიშით აიღეს ყველა მაღლობი ადგილები, რომელნიც მტერს ეჭირა. შუადღისას ავსტრიის არმიამ უკუმიაქცია მტერი, რომელიც მომეტებულის ძალით ხელ მეორეთ დაეცა. ბრძოლის დასასრულს მეექვსე კორპუსმა დაუბრკოლებლად დაიჭირა პოზიცია, რომელიც დაჭერაც იმას ნაბრძანები ჰქონდა სკალიცის გარემოში. იმავე დროს პირველმა კორპუსმა გაჰმართა ბრძოლა მიუნხენგრეცის მახლობლად, მაგრამ ის კი არას ფრით არ დაბოლოვებულა.

ბერლინი, 17 (29) ივნისს. ბუშინ პრუსსიის გვარდიის კორპუსმა დაამარცხა ავსტრიის არმიის მეათე კორპუსი, რომელსაც წინამძღომლობდა ფელდმარშალი-ლეიტენანტი ბარონი ღაბლენცი. პრუსსიელებმა ბევრი ტყვეთ წაიყვანეს, რამოდენიმე ზარბაზანი იშოვნეს და დიდ-ძალი სამხედრო სამზადისი. პრინცის ფრიდრიხი-კარლის არმია შეერთდა ღენერლის ღერფერტის ფონ-ბიტენფელდის კორპუსთან და ბედნიერის ჩხუბის შემდეგ მიუხედენგერცცი დაიპყრო, 800 ავსტრიელი ტყვედ წაიყვანა. ავსტრიელები ფიურსტენბრუკს გარეკეს და 2 ათასი კაცი მოუკლეს და ტყვედ დაიჭირეს. პრუსსიელების ზარალი ბევრით უფრო ნაკლებია. პრუსსიის არმიის მეხუთე კორპუსმა ღენერლის სტეინმეცის წინამძღომლობით, 15 (27) ივნისს, წინ წარიქცია ავსტრიის კორპუსი კამმინგისა ოზეფშტატში. აქ სასტიკის ბრძოლის შემდეგ ავსტრიელებმა ისევ უკან დააწევინა და დიდ-ძალი ტროფეი წაართვა. ავსტრიელებს დიდი ზარალი მიეცათ.

ბუხარესტი, 16 (28) ივნისს. აქ მოდიან მრავალნი პირნი, რომელნიც გამოქცეულნ ჟურჟიდამ და სხვა ადგილებიდამ, რომელნიც ღუნაის ნაპირებზედ მდებარებენ, რადგანაც შიშობენ ღუნაიზედ ოსმალების გადასვლას.

ოძერ-ფაშა რუშჩუკს მოვიდა; იქ ელიან ბევრს პოლკებს ეგვიპტიდამ.

ბერლინი, 17 (29) ივნისს. ღანოვერის არმიის კაპიტულაცია მოხდა შემდეგის პირობაებით: ღანოვერის კროლს და მემკვიდრე პრინცს ეძლევათ წასვლის თავისუფლება. ოფიცრებს ათავისუფლებენ პატიოსანის სიტყვის ჩამორთმევით, რომ ისინი ერთის წლის განმავლობაში არ იომებენ პრუსსიის წინააღმდეგ. დაბალი ჩინები შინ იგზავნებიან. საომარი ბარგი (ბაგაჟი) პრუსსიას გადაეცემა.

ბერლინი, 19 ივნისს (1 ივლისს). ჯერგათ ვერ დაფასდება, რა შედეგი ჰქონდა მეხუთე პრუსსიის არმიის კორპუსის სამის დღის ბრძოლას ოზეფშტადტში. პრუსიელებმა ჩაიგდეს ხელში მეექვსე ავსტრიის კორპუსის წინამძღომლის ღენერლის რამმინგის წიგნი, მიწერილი ფელდცეიხმეისტერ ბენედეკთან. ამ წიგნიდამ სჩანს, რომ ის ითხოვს ორს ახალს ბრიგადას და აცხადებს, რომ იმას აღარ შეუძლიან ბრძოლა განაგრძოს მეორე დღეს. ამის გამო, 16 (28) და 17 (29) ივნისს, ბრძოლაში ერიენენ მერვე კორპუსი ერცღერცოგის ლეოპოლდისა და მეოთხე კორპუსი გრაფის ფესტეტიჩისა მეხუთის პრუსსიის კორპუსის წინააღმდეგ. ამ ორის დღის ბრძოლაში პრუსსიელებმა გაიმარჯვეს. ღენერლის ღაბლენცის კორპუსი სრულიად დასძალა პრუსსიის გვარდიის კორპუსმა. მთელი ავსტრიის არმიის ზარალი ამ დღეებში შეადგენს: 20 ათასს კაცს, 20 ზარბაზანს, ექვსბაირაღს და ორს შტანდარტს.

ფლორენცია, 19 ივნისს (1 ივლისს). ოფიციალურს გაზეთში აცხადებენ, რომ იტალიის არმიამ დაიბანაკა ოლიოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრიელები არა ცდილან მინჩიოზედ გადასვლას.

(მეორე ტელეგრამმა). უმთავრესი იტალიის არმიის ადგილ-სადგომიდგან აცნობებენ, 18 (30) ივნისს, რომ იტალიის ჯარი ბნეთ და სიმრთელით არის.

ᲕᲔᲜᲐ, 20 ივნისს (2 ივლისს). დიდი ღერცოგის ᲝᲚᲓᲔᲜᲑᲣᲠᲒᲘᲡ სახლობა მიდის პეტერბურგს ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲘᲗ და ᲖᲐᲚᲘᲪᲘᲘᲗ, რადგანაც კრაკოვთან რკინის გზა გაფუჭებულია.

ᲦᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ, 20 ივნისს (2 ივლისს). ლიუბეკის რკინის გზების გაზეთში სწერენ, რომ ეს იქ რუსის პარახოდები მოდიან, სულ ტყვეთ და გვარჯილით არის დატენილი პეტერბურგისთვის.

ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 19 ივნისს (1 ივლისს). ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘᲗ ᲐᲥ მოახდინეს ურიგო ძალდატანება ებრაელებზედ. უბრალო ხალხმა სულ დაანგრია ებრაული სინაღოგა. მრავალმა ებრაელებმა თავი შეაფარეს ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲘᲡ სახლში.

ღეს ᲚᲝᲚᲔᲜᲪᲝᲚᲔᲠᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ ᲢᲘᲠᲒᲝᲕᲘᲨᲢᲣ (*) წავიდა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 20 ივნისს (2 ივლისს). (**) მისი დიდებულება პრუსსიის კაროლი მივიდა ღეს, შუა დღეს, ᲖᲘᲩᲘᲜᲘᲡ, სადაც მიიღო პრინცმა ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ-ᲥᲐᲠᲚᲛᲐ. ᲖᲗᲐ და ᲖᲗᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲜ სჩანს დიდი კვალი ომისა, რომელიც შიგ ქალაქშიაც კი იყო. მტერი ბნელ ღამეში ურიგოთ გაქცეულა. ᲯᲐᲠᲘ ძალიან ქეიფიანთ და კარგათ არის. უმთავრესი ადგილ-სადგომი (главная квартира) პრინცმა ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ-ᲥᲐᲠᲚᲛᲐ ᲖᲘᲩᲘᲜᲘᲡ იქით გადიტანა. პირველი და მეორე კორპუსი მთლათ შეერთდა. ტყვეები თან და თან მოდიან, აქამდინ 5 ათასი მოუყვანიათ. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲘᲗᲘ ᲖᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘᲡᲐ, ᲠᲐᲛᲨᲘᲜᲒᲘᲡᲐ, ᲛᲐᲠᲢᲘᲜᲘᲡᲐ თითქმის აღარ არსებობენ; 18 ეგერების ბატალიონი უკანასკნელ კაცამდინ გაწყდა.

ᲖᲘᲩᲘᲜᲘ, 20 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ (2 ივლისს). მთლათ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ, მემკვიდრე პრინცთან რომ ომი ჰქონდათ, არის 25 ათასი კაცი, პრინც ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ-ᲥᲐᲠᲚᲗᲐᲜ—15 ათას კაცამდე. დეზერტირები (გაქცეული სალდათები) ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ თან და თან ეახშირდა, რადგანაც ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ჯარები ისე საჩქაროთ გაიქცნენ, რომ 9 საათის რეკოგნოსცეროვკით (დაზვერით) ვერ იპოვეს ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ნიშანი.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 19 ᲘᲕᲜᲘᲡᲡᲡ (1 ივლისს). ᲙᲐᲠᲝᲚᲘ თავისის სვიტით გუშინ დილით გრაფ ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲚᲗᲐᲜ ერთად წავიდა არმიაში. იმავე დღეს საღამოს მისი დიდებულება მივიდა ᲠᲔᲘᲰᲔᲜᲑᲔᲠᲒᲨᲘ.

—17 (29) ივნისს პრუსიელებმა აიღეს ᲖᲘᲩᲘᲜᲘ ᲑᲝᲰᲔᲛᲘᲐᲨᲘ.

ᲠᲔᲘᲰᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ, 19 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ (1 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ). ᲑᲝᲰᲔᲛᲘᲐᲨᲘ დიდს გამარჯვებაშია პრუსსიის არმია. მეხუთე და მესამე პრუსსიის დივიზიამ 17 (29) ივნისს, აიღო ᲖᲘᲩᲘᲜᲘ. პრუსსიელებს მიეცათ ზარალი, რადგანაც ავსტრიელები ძალიან გამაგრებულნი იყვნენ თავის პოზიციაში (სიმაგრეში). 4 ათასი კაცი ავსტრიელებისა დაატყვევეს და კიდევ სხვა ტყვეებიც მოჰყავთ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიღებული.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. „პრუსსიის საგელმწიფო მაჩქენებელი“ აცხადებს, რომ პრუსსიასა და ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ შუა დადებულის ტრაქტატის მოვალეობანი არ მისცემენ ნებას, რომ ერთი მხარე განკერძოებით ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ შეურიგდეს. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ვერ შეურიგდება ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ, თუმცა ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ მხრით მიეცემა იმას საჩუქრად ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ და იმითი ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ვერ გაათავებს ომიანობას. პრუსსიას აზრშიაც არა აქვს უცხო მხარეების დაპყრობა, მაგრამ ეს კი უნდა, რომ უზრუნველყოს თავისი სანაციონალო ინტერესი. პრუსსია ითხოვს, რომ იმისი ტერრიტორია (მიწა-და-წყალი) შემდეგში იყოს შეუხებელი და იქნეს ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ სახელმწიფო ერთობა, თუ ყველა სახელმწიფოებს შორის არა, უმეტესს ნაწილში მაინც. ᲔᲠᲪ-ᲦᲔᲠᲪᲝᲒᲘ ᲐᲚᲑᲠᲔᲰᲢᲘ მთელის ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ არმიის მხედართმთავრად აინიშნა. ᲢᲣᲚᲝᲜᲨᲘ მიიღეს ბძანება, რომ ორი სამხედრო ხომალდი კიდევ შეამზადონ სატრანსპორტო (გადასატანი) სასამსახურად. ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲘᲡ ჩაჩქან-მოსილი (броненосный) ესკადრა აგრეთვე ᲢᲣᲚᲝᲜᲡ მობრუნდა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲕᲔᲜᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ იმპერატორის ნაპოლეონის შუამავლობას ამ შემთხვევაში ძალა არ ჰქონდა: ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲛ მარტო თავისის ძალით და საშუალობით განიზრახა, რომ არა ვითარს ძალდატანებას არ შეუშინდეს და დაიცვას თავისი ადგილი, როგორც დიდის სახელმწიფოისა, ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ. პრუსსიელები ᲑᲠᲘᲣᲜᲨᲘ შევიდნენ. ᲞᲐᲠᲘᲯᲨᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲘᲡ საქმეზედ ელჩების კონფერენციამ აღიარა პრინცი ᲚᲝᲚᲔᲜᲪᲝᲚᲔᲠᲜᲘᲡ ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲘᲡ ხელმწიფედ მემკვიდრეობით.

—ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲨᲘ ხოლერა ვრცელდება. 2 ივლისს 600 გახდა ავათ და 150 მოკვდა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ.

პირველის მოსაგები ვალის ტირაჟი (ლატარია) 200 ათასი—ნუმერი 11,232, 4 სერია; 75 ათასი—ნუმერი 15,059, 22 სერია; 40 ათასი—ნუმერი 5, 38 სერია.

—გაზეთი France აცხადებს, რომ პრუსსია ითხოვს შემდეგს პირობაებს შერიგებისთვის: ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ უნდა გამოირიცხოს ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲓᲐᲛ; პრუსსიამ უნდა მიიღოს განსაკუთრებითი უმთავრესი წინამძღოლობა კავშირის მთელს სამხედრო ძალაზედ და დიპლომატური წარმომადგინელობა მოკავშირე სახელმწიფოებისა. პრუსსია შეიერთებს ᲔᲚᲑᲘᲡ საღერცოგოებს და იმ სახელმწიფოების ნაწილს, რომელიც ეხლა პრუსსიას უჭირავს. იმავე წყაროდამ ვსცნობთ, რომ პრუსსიის პირობაები შერიგებაზედ ესენი არიან: პრუსსია ითხოვს, რომ იმას მიეცეს ის ციხეები, რომლებიც ორი არმიის შუა და პრუსსიის საზღვარზედ იმყოფებიან; ის ითხოვს აგრეთვე, რომ იმას მისცენ ჩრდილოეთის ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ გზა და ამის გარდა—იმასაც, რომ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲛ შეინახოს თავის ხარჯით პრუსსის არმია; სამხრეთის ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ არმია გაჩერდება სწორეთ ᲕᲔᲜᲘᲡᲐ და ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ოთხ-კუთხის შუა; ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲛ შერიგების დროს ახალი ჯარი არ უნდა მოკრიბოს; ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ არმია უნდა დადგეს იმ ადგილებზედ, რომლებიც იმას ახლა უჭირავს. ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ დაჭეშმარიტებით არწმუნებენ, რომ შერიგების დროს სლავიანების და ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲘᲡ პროვინციები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ პრუსსია მოიხმარს ყოველს გვარს ღონეს, აღუსრულოს იმათ თავიანთი სანაციონალო წადილი. პრუსსიამ გასცა პროკლამაცია ᲑᲝᲰᲔᲛᲘᲘᲡ ხალხთან ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲘᲡ და ᲑᲝᲰᲔᲛᲘᲘᲡ უფლებაების შესახებ; ამ პროკლამაციას ძლიერი ზედმოქმედება ჰქონდა და დიდი მღელვარება მოახდინა. პრუსსიაში ძალიან მხნედ ემზადებიან ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ პარლამენტის მოსაწოდებლად, რომელიც ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ შეიკრიბება. პრუსსიის კაროლი უმთავრესის ჯარის ადგილ-სადგომიდამ ᲪᲘᲢᲢᲐᲣᲨᲘ მივიდა; პრუსსიელებმა ᲑᲠᲘᲣᲜᲡ მიჰმართეს. როგორც პრუსსიის ჯარის ადგილ-სადგომიდამ აცნობებენ, ავსტრიელებმა დასტოვეს საოპერაციო ხაზი ᲝᲚᲛᲘᲣᲪᲘᲡᲐ და ᲑᲠᲘᲣᲜᲘᲡ შუა, მდინარე ᲓᲣᲜᲐᲘᲖᲔ. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ იმპერატორმა ᲤᲠᲐᲜᲪᲛᲐ ᲘᲝᲡᲔᲑᲛᲐ გამოუცხადა სათემო (общинный) რჩევის წარმომადგენელებს (დეპუტაციას), რომ ხაზი არ იქნება გასამაგრებელ პოზიციათ, რადგანაც ქალაქები არ არიან გამაგრებულნი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 2 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ.

რადგანაც გრაფის მურავიოვის თავს-მჯდომარეობით გამომძიებელმა კომისიამ აღმოაჩინა შემცდარნი შეთქმულებანი, რომელნიც აღმოჩნდა იმპერიის სხვა და სხვა ადგილებში წინააღმდეგ უზენაესის ძალისა და ახლანდელის სჯულისაგან დამყარებულის მმართველობისა, ამისთვის 28 ივნისს უმაღლესმა განჩინებამ დაწესა უზენაესი სისხლის სამართალი კნიაზის ᲖᲐᲒᲐᲠᲘᲜᲘᲡ თავს-მჯდომარეობით, რომ იმან განიხილოს გამოსაძიებელი საქმეები ამ საგანზედ და დააწესოს დაბოლოებითნი გადაწყვეტილებანი.

—ᲔᲠᲗᲘ ფრანცუზული გაზეთი „Pays“ ამბობს, რომ პრუსსიის წინათ-გამოსაცხადებელნი პირობანი დაბოლოებით ჯერ კიდევ არ წარმოთქმულან, მაგრამ მაინც საკმაოთ ვიცით ისინი და უფრო ზომიერნიც არიან, ვინამც წინათ მოგვითხრობდნენ. ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, რომ ამ პირობაებს მიიღებენ.

მემკვიდრე ᲪᲔᲡᲐᲠᲔᲕᲘᲩᲘ და დიდი მთავარი ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ძე მობრუნდნენ ᲙᲝ�პᲔᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘᲓᲐᲛ.—პრუსსიელებმა ᲐᲨᲐᲜᲤᲔᲑᲣᲠᲒᲗᲐᲜ დაამარცხეს ბავარიელნი. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ჯარი ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲓᲐᲛ-ᲛᲐᲘᲜᲖᲔᲓ გამოვიდა, რადგანაც პრუსსიის ჯარმა ამ ქალაქს მიჰმართა. ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ სეიმი ᲐᲣᲒᲡᲑᲣᲠᲒᲡ გადიტანეს. ᲩᲘᲐᲚᲓᲘᲜᲘᲡ ჯარმა ᲞᲐᲓᲣᲐ და ᲖᲘᲩᲔᲜᲪᲐ დაიჭირა. ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲓᲐᲛ იწერებიან, რომ ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐᲨᲘ მღელვარება თან-და-თან ძლიერდება; შეიარაღებულნი განდგომილნი კიდეც ჩნდებიან აქა-იქ. სამხრეთის ᲕᲔᲜᲒᲠᲘᲐᲨᲘ ᲙᲝᲨᲣᲢᲘᲡ და ᲙᲚᲐ�პᲙᲘᲡ პროკლამაცია მიკრულია ალაგ-ალაგ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 6 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ.

ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘ პრუსსიელებმა დაიპყრეს. ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲛ გამოიწვია ლაშქარი. ᲢᲐᲘᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ელიან. ᲩᲘᲐᲚᲓᲘᲜᲘᲛ ᲕᲘᲩᲔᲜᲪᲘᲡ იქით ავსტრიელები მილეწა.

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲦᲠᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ.

VIII.

ᲐᲜᲒᲚᲘᲐ. მხოლოთ ერთი ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ, სადაც მუშების ასოციაცია ძველათვეა დაწყობილი. ᲐᲥ იმათს სახელ-მძღვანელოთ იყო friendliy societies (ძმობრივი საზოგადოება), რომელთაც თავდა-პირველათ საგნათ ჰქონდათ ურთიერთი შემწეობა ქვრივებისა და ობლებისა, გამოკვება მოხუცთა, სამარხის მიცემა შეუძლებელთათვის და სხ. ᲐᲛ გვარი ამხანაგობა მთელს ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲨᲘ გავრცელებული იყო და ახლაც არის. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, პირველი ამხანაგობა დაწესაო 1696 წ. ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲓᲔ-ᲤᲝᲛ, ᲠᲝᲑᲘᲜᲖᲝᲜ ᲥᲠᲣᲖᲔᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲛᲐ. 1793 წ. გამოიცა პირველი პარლამენტის აქტი ამხანაგობის სასარგებლოთ; ეს აქტი გაუქმდა 1855 წ. და დაიდვა სხვა წეს-დება. 1793 წლიდამ აქამომდე ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲨᲘ დაწესდა სამას ათასზედ მეტი ასოციაცია; იმათში დროს განმაელობაში ბევრი ჩაიშალა. ᲐᲮᲚᲐ არის ოცი ათასამდე ამხანაგობა; რიცხვი იმათის წევრებისა ადის ორს მილლიონს ნახევრამდე; იმათი კაპიტალი შეადგენს სამოც და შვიდს მილლ. მეტს ტალერს. (*)

1843 წ. ᲠᲝᲩᲓᲔᲚᲘᲡ ქალაქში, ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘᲡ ქალაქის მეზობლათ, შეიყარა 12 ფეიქარი. ᲑᲔᲕᲠᲘ ილაპარაკეს, თუ რა გვარათ უშველონ თავიანთს ბედკრულს მდგომარეობას მაშინდელს სიძვირეში. ᲐᲘ რაზედ დადგნენ. ᲓᲐᲐᲬᲔᲡᲝᲗᲝᲗ კასსა, სადაც თვითოეულმა, ვისაც კი წევრობა სურდესო, უნდა შემოიტანოსო კვირაში ორ-ორი პენსი ანუ ორ-ორი ზიბელგროში (*) შესდგა სია 12 კაცისა. შესდგენენ საქმეს. 12 კაცს შეჰქონდა 24 პენსი ანუ 72 კაპეიკი. შემდეგ რიცხვი წევრებისა ავიდა 28-მდე; ორის მაგიერ კვირაში 3 პენსი დასდეს. 21 დეკემბერს 1844 წელს ᲠᲝᲩᲓᲔᲚᲘᲡ პიონერებს (ასე დაარქვეს ამ ასოციაციის წევრებს) ჰქონდათ კასსაში კაპიტალი 28 გირვანქა სტერლინგი; იმათ იყიდეს, რაც საჭირო იყო და დარჩათ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ 14-15 გირ. სტერ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐᲛ გააღო დუქანი, რომელიც 10 გირვანქა სტერლინგათ იქირავეს. ᲐᲥ ისყიდებოდა ფქვილი, ერბო და შაქარი. მასუკან ჩაი და თამბაქოც გაიჩინეს. 1845 წლის გასულს ამხანაგობა შეადგენდა 74 წევრს; კაპიტალი იმათი იყო 181 გირვ. ᲰᲮᲔᲓᲐᲕᲓᲜᲔᲜ, რომ იმათს საქმეს მანამდისინ წარმატება არ მიეცემოდა, ვიდრე ისინი კარგს კაპიტალს არ შეადგენდნენ. ᲓᲐᲡᲓᲔᲡ, რომ აქციებით ათასი გირვანქა შეადგინონ; თვითო აქცია იყო ერთს გირვანქათ. ᲗᲕᲘᲗᲝᲔᲣᲚᲡ წევრს 4 აქცია მაინც უნდა აეღო. ᲯᲔᲠ უნდა შემოეტანათ თვითო შილლინგი (**); შემდეგ ყოველ კვირა სამ-სამი პენსი, ვიდრე 4 გირვანქა არ შესდგებოდა. ᲗᲣ როგორიმე წევრი თავისს ნაწილს არ შემოიტანდა, იმაზედ ფულის ჯარიმა იყო. მოგება და პროცენტი წევრებს არ ეძლეოდათ, არამედ ანგარიშში ეთვლებოდათ, ვიდრე დაწესებულს რიცხვს აქციებისას არ შეამსებდნენ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ნება ჰქონდა თავისი კაპიტალი 100 გირვანქამდე კასსაში ჩაედო. ᲛᲡᲔᲪ კი იყო, რომ თვითოეულს შეეძლო გაეტანა კაპიტალის ნაწილი, რომელიც 4 გირვანქას გადეამატებოდა; შეეძლო აგრეთვე თავისი აქციები გაეყიდნა.

პირველის კაპიტალით იყიდეს კოლონიის სავაჭრო, რომელიც სარგებლობას აძლევდა თვით მყიდველებსაც. მოგებას იყოფდნენ ისე, რომ მყიდველი მიიღებდა ნაწილს ნასყიდობის და გვარათ; იმას ერიცხებოდა მხოლოთ 5 პროცენტი, რომელიც კაპიტალს ემატებოდა. ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲐ იმ აზრზედ იდგა, რომ ისე კაპიტალი არ აძლევსო იმას სარგებლობას, როგორც მყიდველი. ᲐᲡᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ დახშული არ იყო: აქ თვითოეულს შეეძლო შემოსვლა. ᲧᲕᲔᲚᲐ მყიდველს ეძლეოდა სპილენძის მარკა, რომელზედ ც დაინიშნებოდა შემოტანილი ფული. ᲓᲘᲕᲘᲓᲔᲜᲓᲐᲗ (***) იყო დადებული 10 პროცენტი. მყიდველი წარმოადგენდა თავისს მარკას და ნასყიდის ფასის შესაფერს დივიდენდს მიიღებდა.

ᲠᲝᲩᲓᲔᲚᲘᲡ პიონერებს ისე მოგება არა ჰქონდათ მხედველობაში, როგორც კარგისა და მტკიცის სავაჭროს გასყიდვა. ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲗᲘ იყო მიღებული ბაზრის ფასი. ᲤᲐᲡᲡ არც ასწევდნენ, არც დასწევდნენ.

1845 წ. ამხანაგობამ შეადგინა სტატუტი ანუ წეს-დება. ᲐᲛ სტატუტის ძალით „დაინიშნება პრეზიდენტი, კასსირი და სეკრეტარი, სამი ზედა-მხედველი და ხუთი დირექტორი, რომელთაც ყოველს ნახევარს წელს საზოგადო ყრილობა ამოირჩევს. ᲘᲡ მოხელეები შეიკრიფებიან კვირაში ერთხელ მაინც; საზოგადო ყრილობა მოხდება თვეში ერთხელ; სამს თვეში იქნება ᲐᲜᲒᲚᲘᲐᲨᲘ, რომელიც მომავალს ყრილობაში საცნობელათ მოიყვანება. ᲬᲛᲘᲜᲓᲐ მოგება გაიყოფა სამს თვეში ერთხელ, ჯერ კი გამოირიცხება: ა) რაც მმართველობაზედ გასაეალია, ბ) პროცენტი სესხისა, გ) პროცენტი წევრების აქციებისა, დ) ხელ-უხლავი კაპიტალი და ე) ორ-ნახევარი პროცენტი მთელს მოგებაზედ სწავლის საჭიროებისთვის. ᲓᲐᲜᲐᲨᲗᲔᲜᲘ განნაწილდება ამხანაგებს შორის ნასყიდობის გვარათ.

(*) ᲤᲐᲚᲐᲥᲘᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ—ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲙᲔᲜ ᲕᲐᲚᲐᲮᲘᲐᲨᲘ, ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲘᲕ.

(**) ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ წყაროებიდგან.

(*) ᲢᲐᲚᲔᲠᲘ შეადგენს ერთს მანეთზედ მეტს.

(*) პენსი არის ანგლიური სიტყვა, ზიბელ-გროში—ნემეცური. ᲔᲠᲗᲘᲪ და მეორეც უდრის ჩვენს ორსა და ნახევარს კაპეიკსა.

(**) შილლინგი 12 პენსია.

(***) Dividende — დივიდენდი ეწოდება იმ სარგებელს, რომელიც აქციონერს ეძლევა — აღებულის აქციების რიცხვის გვარათ.

„ვინც ამხანაგობის წევრი არ არის, მაგრამ ყიდულობს კი ასოციაციის მაგაზინიდამ, ისიც მიიღებს დივიდენდს, თავისის ნასყიდობის გვარათ. ეს დივიდენდი რა საკვირველია უფრო ნაკლებია წევრების დივიდენდზედ. ასე რომ არ იყოს, მუშებისთვის რა სასარგებლო იქნებოდა ამხანაგობაში შესვლა? ვინც ახლათ შემოდის ასოციაციაში, იმან შემოსავალი უნდა ჩადოს კასსაში ერთი შილლინგი; ვინც გადის—2 შილლინგი გასასვლელი“. აი რა არის როჩდელის ასოციაციის სტატუტის საფუძველი. ეს სტატუტი შემდეგ ანგლიაში ყველა ასოციაციებმა მიიღო.

როჩდელის ასოციაცია განსაკუთრებითს წარმატებაში შეიდა უფრო 1848 წლიდამ. ახლა იმას აქვს მდიდარი საწვრილმანო მაგაზინი, სამი საჩექმო, ერთი ტან-საცმელის მაგაზინი. ხუთს საყასბოს დუქანში 1861 წ. შემზადდა და გაისყიდა 2553 სული საქონელი ანუ 539,861½ გირვანქა ხორცი. იმას აქვს საკუთარი სახლი, რომელიც ღიაა ყოველ დღე ნაშუადღევს და აქ არის ანგლიური გაზეთები, ჭანდრაკი და სხვა გასართობელი საგნები. აქვე არის ბიბლიოთეკა და ბიბლიოთეკაში 5,000 ტომი წიგნი. როჩდელის ამხანაგობას აქვს დიდი საფქვავი წისქვილი. აქ პიონერებმა დასდეს კაპიტალი ორასი ათასი გირვანქა; 1861 წ. საფქვავი შემოვიდა ას სამოც და ექვსის ათასის და რვა ასის გირვ. სტერლინგისა. წმინდა მოგება მიიღეს ცხრა ათასი და ექვსასი გირვ. სტ. მთელი კაპიტალი პიონერებისა 17 წლის განმავლობაში გამრავლდა 1533 ჯერ და დაწყებიდამ 1862 წლამდე შეიძინეს ოთხას სამოცდა თხუთმეტი ათასი ტალერი.

რაც აქ როჩდელელებზედ ითქვა, ის სხვა ასოციაციებსაც მიეწერება. იმისის მიბაძვით ამხანაგობა გამრავლდა. ახლა ამ გვარი ასოციაცია არის ანგლიაში 500 მეტი; რიცხვი იმათის წევრებისა ასი-ათასზედ მომატებულია.

იმათი ყოველ-წლიური წმინდა მოგება შეადგენს თითქმის ერთ-ნახევარს მილლიონს ტალერს; საკუთარი კაპიტალი აქვთ 3—4 მილლ. ესეც კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ 500 რიცხვიდამ ოც და ათიც არ არსებობდა 1856 წლამდე.

იმ ასოციაციებს, რომელნიც ჩვენ უჩვენეთ, ერთი და იგივე პრინციპი აქვთ საფუძვლათ, ესე იგი, მოგებას იყოფენ ისინი, ვინც სავაჭროს ყიდულობს. მოგება კი აქ მეორე პლანზეა. უმთავრესი პირობა ვაჭრობაში პატიოსნებაა. მუშებს ეძლევათ ყოველთვის კარგის ღირსების სავაჭრო; ამასთანავე, როგორც ვხედავთ, მოგებაც დიდია. მიზეზი ამისი არის განმარტივებული მმართველა და სიიაფე სავაჭროსი. მაგაზინები არ არის მდიდრული. კაპიტალი ანუ პროცენტი აქ არას დროს არ იკარგება, რადგანაც სტატუტის ძალით მყიდველი ყოველთვის ფულს უნდა იძლეოდეს ნასყიდობისთვის. მეორე მიზეზი ის არის, რომ პატიოსნებით და სვინიდისანობით მრავალ მყიდველს იზიდვენ, ისეთებსაც, რომელნიც წევრების რიცხვში არ არიან.

მოგების გაყოფა სამს თვეში ერთხელ უადგილებს ფულის გადადებას. მუშას 5—10 ტალერი ერთბაშათ ეძლევა. მაშა სადამე ის უფრო ადვილათ გადასდებს, ვიდრე მაშინ, ეს ფული იმას რომ წვრილ-წვრილათ ეძლეოდეს. რადგანაც ასოციაციებში შეტანილს ფულს ეძლევა 5% (*) და რადგანაც იმათს კეთილ-სვინიდისიანობაზედ ეჭვი არა აქვთ, ამისთვის ისინი ბანკის როლსაც ასრულებენ.

როჩდელის პიონერები კაპიტალისტებათ გახდნენ, ამასთანავე მუშებათაც ისევ არიან, და ცდილობენ, რომ თავიანთს მოძმე ხალხს სარგებლობა მიაგონ. 1857 წელს იმათ დაუწესეს ფაბრიკა, სადაც გარეშე პირებს, რომელნიც მხოლოთ მუშაობენ აქ, მონაწილეობა აქვთ მოგებაში. აი როგორ. ზამოიანგარიშებენ ხოლმე ყველა გასავალს და 5% კაპიტალისას, რომელიც აქციებით არის შემდგარი, დანარჩენს მოგებას კი ყოველს ნახევარს წელიწადს ერთ გვარათ უყოფენ კაპიტალს და შრომას. თქვათ, კაპიტალისტმა მიიღო 200 მანეთი პროცენტი; მუშა იმთენსვე მიიღებს, თუ სამუშაო ფული იმას აქვს აღებული 200 მანეთი. თუ მუშაობის ფასი მომატებულია კაპიტალზედ, მაშინ იმისი მოგებაც მეტია. 1861 წ. როჩდელელების წმინდა მოგება ფაბრიკიდამ იყო ოცდა ჩვიდმეტი ათასი და ოთხასი ტალერი. ამ რიცხვიდამ ოცი ათას რვა ასი ტალერი ერგო პროცენტში კაპიტალს და თექვსმეტ ათას ექვსასი ტალერი კი გაიყვეს კაპიტალისტებმა და მუშებმა.

ამ საქმეში როჩდელის ასოციაციას ზოგიერთმა სხვა ასოციაციამაც მიბაძა, და აი რა მოხდა. როდესაც მუშა მონაწილეა მოგებაში, მაშინ ის უფრო მუყაითათ და ერთგულათ შრომობს, ვიდრე სხვას შემთხვევაში; სამუშაო მასალას უფრო უფთხილდება, რადგანაც იცის, რომ ამ გაფთხილებით შეძინებულს კაპეიკში იმასაც წილი უდევს. ასე შენიშნეს ყველგან. რაღა თქმა უნდა, რომ კაცობრიობა და სიმართლეც ამას მოითხოვს. მონაწილეობით მოგებაში მუშა, თუ ზომიერათ ცხოვრებს, ადვილათ შეიძენს 10—15—20 წლის განმავლობაში იმდენს ფულს, რომ მარტო პროცენტით შეიძლოს იმან ცხოვრება.

ფრანცია. აქ თებერვლის რევოლუციის შემდეგ (მოხდა 1848 წ.) ასოციაციები გამრავლდა. ეს საქმე რევოლუციამ მხოლოთ გაადვილა. ამხანაგობის მნიშვნელობაზედ იდეები 20 წლის წინათვე იყო და ის გაავრცელეს სენ-სიმონმა, ფურიემ და განსაკუთრებით ლუი-ბლანმა. 1848 წ. დროებითმა მმართებლობამ ვალათ დასდო თავისს თავს, რომ მუშებისთვის სამუშაო ეძლევინა. ლუი-ბლანის აზრით დაუწესეს სამუშაო სახლები, მაგრამ საქმე ვერაფრათ წარემართა. მუშების რიცხვი მოაწყდა დიდ-ძალი,! ხაზინას ზარალი მიეცა, და ამისთვისაც სამუშაო სახლები დახურეს. მხოლოთ მუშების სასარგებლოთ გადადეს 3 მილლიონი ფრანკი. (*)

ასოციაციების დაფუძნება ფრანციაში ეკუთვნის განათლებულს პირებს, რომელთაც მუშები დაიამხანაგეს და უყოფდნენ იმათ მოგებას. ამ გვარი ამხანაგობა ბევრი იყო 1848 მდე. პირველი მაგალითი აჩვენა 1842 წ. პარიჟში ლეკლერის სამხატრო სახლმა. აქ იყო 200 მუშა; შრომისთვის იმათ ეძლეოდათ ბაზრის ფასი. თვით ლაკლერი, პროცენტის გარდა კაპიტალზედ, იღებდა შრომისა და მართვის ფასს. დანაშთენს მოგებულს ფულს იყოფდნენ როგორც ლაკლერი, აგრეთვე ყველა მუშები მუშაობის ღირეულობის გვარათ. ლაკლერი ამბობს, რომ ამ წესის დადების შემდეგ საქმე ძალიან კარგათ წავიდაო. მუშებმა თავისს მეცადინეობას მოუმატეს, ასე, რომ პირველს წელს 300 დღისთვის თვითოეულს სამუშაო ეძლეოდა 400 ტალერამდე; მარტო დივიდენდი იმას გაჰქონდა 80—100 ტალერი. თვით მეპატრონის მოგებამაც ძალიან თურმე იმატა.

ლეკლერს სხვებმაც მიბაძეს. აქ მოვიხსენებთ ორს. ბესლეილმა შეადგინა ამ გვარი ასოციაცია პარიჟში, თავისს დიდს ოთხქლის სამუშაო ფაბრიკაში და ნაყოფით ძალიან კმაყოფილი დარჩა. — მომატებულათ გაითქვა პოლ დუპონის სტამბა. 1847 წ. დუპონმა თავისს მუშებს გამოუცხადა, რომ მეათე ნაწილს მოგებისას გაძლევთო შემდეგ ხარჯის გამორიცხვისა და პროცენტისა კაპიტალზედ და შრომაზედ. მოგებაში მონაწილეობა მხოლოთ იმ მუშას ჰქონდა, რომელიც სტამბაში ორს წელს დაჰყოფდა. ერთბაშათაც არ ეძლეოდათ: მოგება მუშას ჩაეთვლებოდა იმისს ანგარიშში და მიიღებდა მხოლოთ 6%; როდესაც ის ფაბრიკიდამ გავიდოდა, მთელს კაპიტალს გაიტანდა. ახლა ამ ფაბრიკაში მუშაობს 650 კაცი, 30 საბეჭდავი ორთქლის მაშინა, 30 სასტამბო და 30 სალიტოგრაფიო სტანოქი, რომელნიც ყოველ წლივ ბეჭდვენ 30 მილლიონს თაბახს. უკანასკნელს დროს დუპენმა ააშენა ქლიშში ორი დიდი სახლი 29 ოთახით მუშებისთვის; იქვე არის 72 პატარა სადგომები მუშებისთვისვე. ამ სტამბის მუშებს პარიჟის სადგომებზედ 30—40 პროცენტით ნაკლები უჭირავთ თავიანთი სადგომები.

მაგრამ ამ გვარს ასოციაციას საფუძველი არა აქვს. რაც უნდა იყოს, აქ მუშა დამოკიდებულია მეპატრონეზედ: ის დღეს აძლევს მოგებაში მონაწილეობას, ხვალ შეუძლიან წაართვას. მუშას აქ ფეხი მაგრა არ უდგა. ეს კარგათ ესმით მუშებს. ამისთვის ბევრმა იმათგანმა დააწესა ამხანაგობა, სადაც მეპატრონეებათ თვითონვე არიან. ამისთანა ასოციაცია პირველად გამოსცადეს 1830 წ. დურგლებმა ბუშეს ხელთ-მძღვანელობით. აი რას ამბობენ ისინი თავიანთს სტატუტში:

„ჭვემო-ხელის მომწერნი შეეევერთდით ასოციაციაში კაპიტალის უქონლობის გამო და დამოუკიდებლობისთვის. მეპატრონეები, რა საქმეც უნდა იყოს, ყოველთვის სჩაგრავენ მუშა კაცებს. ჩვენი შრომა იმათ მიაქვთ. შრომის გაცალკევება ყველაზედ მომატებულათ აენებს მუშების ინტერესს და მეპატრონეებს უმონავებს. ამ გაცალკევებას შეუდგება კონკურენცია მუშებისა, და მაშა სადამე ის ამცირებს სამუშაო ფასს. არა ვითარი იმედი არ არის საქმის გაუმჯობესობაზედ, მუშისაგან ფულის შეძინებაზედ, რომ იმან სნეულებაში და მოხუცებაში ხელი შეიწყოს.

„ამისთვისაც ჩვენ, ქვემო-ხელის მომწერლებმა დავაწყეთ: ჩვენ გვსურს განვთავისუფლდეთ ამ მონაობისაგან; შევადგინოთ საკუთარი ამხანაგობა, შევიძინოთ კაპიტალი, რომ ჩვენ თავათ შევიძლოთ ჩვენის თავის გამოკვება ბედნიერებაში და უბედურებაში; მივცეთ სწავლა და აღზდა ჩვენს შვილებს, შევეწიენეთ ჩვენს ობლებს და უძლურებს. ერთის სიტყვით, შეძენილი კაპიტალი უნდა მოვიხმაროთ საღმთო მოვალეობის აღსასრულებლათ, რომლის ძალითაც ერთი-ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს და ერთი-ერთმანეთს შემწეობა ვაძლიოთ.“

ამ ასოციაციამ და მრავალმა ამ გვარმა დიდ ხანს ვერ გასწია. 1848 წლამდე მმართებლობა იმათ ცუდათ უყურებდა და ყოველთვის დაბრკოლებას აძლევდა; ყოველს ყრილობას, ამხანაგობას სდევნიდა, რადგან იმათზედ შეთქმულობის ეჭვი ჰქონდა.

თებერვლის რევოლუციის დროს ლუი-ბლანმა მოინდომა ამ გვარის ასოციაციის დაწესება. ახლა ნაყოფი უკეთესი აღმოჩნდა. ამ დროდამ ბევრი ასოციაცია გაჩნდა; იმათმა რიცხვმა 300-მდე მიაღწია, რადგანაც თვით მმართებლობა შემწეობას აძლევდა იმათ. მაგრამ ახლა იმათში შერჩა მხოლოთ 60—70. ესენი ის ასოციაციები არიან, პეეიფერის სიტყვით, რომელნიც დაარსდნენ მმართებლობის შეუწევნელათ.

იმედი გვაქვს, ჩვენს მკითხველებს თავი არ მოვაწყინოთ, რომ ფრანცუზის ასოციაციებში უჩვენოთ კიდევ ორი, რომელნიც მომატებულათ არიან გავრცელებულნი. იმათს შორის ერთია ამხანაგობა ხუროებისა, მეორე—Humanité. პირველი ამითი განსხვავდება, რომ ის ცდილობს უცხო კაპიტლებიც მოიზიდოს და ამ კაპიტლებს უნიშნავს მოგების განსაკუთრებითს ნაწილს, მაშინ როდესაც სხვა ფრანცუზის ასოციაციებში—[illegible] მხოლოთ შრომას და კაპიტალს აძლევენ მარტო პროცენტს.

ხუროების ასოციაციას ეწოდება ბუიეს და კამპანიის ამხანაგობა. ის არის პარიჟში; სტატუტის ძალით კაპიტალს ეძლევა 40%, მუშაობას 60%. თვითოეული წევრი მოვალეა შეიტანოს 1000 ფრანკი მაინც, და ვიდრე ეს ფული არ შეიმსება, ამხანაგობა იჭერს 10% წევრის სამუშაოს ფასიდამ და მოგების ნაწილიდამ. რადგანაც ამ ასოციაციას დიდი წარმატება მიეცა, ამისთვის ბევრს ხუროს შემოტანილი აქვს 4000—5000 ფრანკი. თავ დაპირველათ იმათი საქმე კარგათ ვერ იყო 1848 წ., როდესაც ბუიეს კამპ. დაარსდა, ამან მმართებლობისგან შემწეობა მოითხოვა, მაგრამ უარის თქმა მიიღო. როგორც იყო პირველი წელიწადი გააჩანჩალეს. ამ დროს მთელი იმათი კაპიტალი ადიოდა 364 ფრანკამდე. რიცხვი წევრებისა იყო 17, მეტი ფული მაინც ვერ შეაგროვეს. მაგრამ საქმე ისე კარგათ წაიყვანეს, რომ მეორე წელს იმათი კაპიტალი იყო 4,521 ფრანკი, და 1854 წელს კი—17,000 ფრანკი. 1859 წ. ამხანაგობას შეადგენდა 107 წევრი და იმათი კაპიტალი იყო სამას სამოცდა თხუთმეტი ათასი ფრანკი, ასე რომ თვითოეულს, საშუალო გამოანგარიშებით, ერგო 3,415 ფრანკი, მაშა სადამე ექვს წელიწადში 1853-დამ 1859-მდე ხუროების კაპიტალმა ათასჯერ იმრავლა.

ამ ამხანაგობას დიდი რეპუტაცია აქვს პარიჟში. ბევრი რამ არის იმათგან ამენებული, სხვათა შორის ოტელები რუესი, ფულდისა, ჭირარდენისა, ბოდილიოსი და თვით რუსის ეკკლესია. წევრს ეძლევა ორ ნაირი დივიდენდი, როგორც მუშას და აქციონერს. უკანასკნელს წლებში თვითოეულმა იმათგანმა მიიღო სამუშაო ფასი 500—1500 ფრანკი. როჩდელის პიონერების მსგავსათ იმათ გაიჩინეს შკოლა საკითხავი ბიბლიოთეკით. 1872 წლამდე, როდესაც ამხანაგობა თავისს ანგარიშს გასწმენდსო, ამბობს პეეიფერი, იმედიაო, რომ თვითო წევრს ერგოსო თავისს წილათ ოცი ათასი ფრანკი. უწინ ამ მუშებმა ძლივს შეაგროვეს ოც-ოცი ფრანკი, რომელსაც თავისს საკუთრებათ ვერც კი უწოდდნენ. 20 წლის განმავლობაში ისინი იმდენს შეიძენენ, რომ მარტო სარგებელით იცხოვრებენ.

მეორე ამხანაგობა Humanité დაწესდა 1848 წ. ლილის ქალაქში, და ბუიეს კამპ. მსგავსათ არის გავრცელებული. მაგრამ იმისი თვისება სხვა გვარია. ის აღებ-მიცემობს ყველა სარჩოთი და ემსგავსება ანგლიურს Stores. აქ თვითოეულს, ვიდრე წევრათ არის, შეაქვს კაპიტალში ყოველ-კვირა 15 სანტიმი (*). დროითი დროამდე ყველა წევრი გამოაცხადებს, ესა და ეს სარჩო მინდაო, და რადგანაც ვინც წევრი არ არის, იმას მონაწილეობა არა აქვს მოგებაში, ამისთვის წინათვე შეუძლიანთ გამოიანგარიშონ სასყიდი რამდენი რამ არის საჭირო. ანგლიურს Stores ავით ამ ამხანაგობას თავისი დუქნები არა აქვს. ის შეეკვრის ხოლმე სხვა და სხვა მოვაჭრეებს. ვინც მომატებულს უკლებს, იმისგან მიაქვთ სავაჭრო.

უმეტესს ნაწილს დაკლებულის ფასისას იყოფენ წევრები, დანარჩენი კაპიტალს ემატება. შეეკერნენ კონტრაქტით მეფურნეს, იმისგან იყიდეს მთლათ პური; მეფურნემ დაუკლო 12½% ბაზრის ფასზედ, ასე რომ 100 ფრანკის მაგიერ იმას ეძლევა 87 ფრ. 50 სანტიმი. ყოველ კვირა წევრი მიიღებს მარკებს და ამხანაგობა უკლებს იმას 10% ესე იგი 100 ფრანკის ნაცვლათ ის აძლევს 90 მარკებისთვის, მაშინ როდესაც თვით ამხანაგობა აძლევს 87½% და მოგება აქვს 12½% 1851 წ. პური გაყიდა ამხანაგობამ 160,000 ფრანკისა, დაუკლოთ 12½%; მოიგო ოცი ათასი ფრანკი.

ამ გვარისავე კონტრაქტით შეეკრა ის მენახშირეს, მკერავს, მეჩექმეს, აფთეკარს და სხ. ასბობა კი თვითონ ამხანაგობამ იკისრა. ანგლიურის Stores მიბაძვით და ეს არის უფრო მიზეზი ლილლის ასოციაციის წარმატებისა. ჯერ ორი წელიწადი არ გასულა ამხანაგობის დაარსებიდამ, რიცხვი იმისის წევრებისა გახდა 1,541 და 1851 წ. იმისს საყასბოში იყო 1,810 სული საქონელი 208,342 ფრანკისა.

რაც რომ ხორაგი ტრიალებს ამ ამხანაგობაში, იმისი ფასი ერთს მილლიონამდე ადის, და წელიწადში ის იგებს 125,000 ფრანკს.

(შემდეგი იქნება.)

რედაქციისაგან. უ. ბ. პ—შვილს, ოდესას. თქვენი პირველი სტატია არ დაიბეჭდება.
უ. დ. მ—შვილს. თქვენი სტატია არ დაიბეჭდება.
უ. მიხ. ბ—შვილს. თქვენი სტატია სხვა და სხვა მიზეზის გამო, არ დაიბეჭდება.
უ. თ. მ—ანს. თქვენი სტატია არ დაიბეჭდება.

(*) სიტყვა პროცენტი ხან და ხან ნიშნითაც იწერება. ეს ნიშანი არის %. მაგალითებრ, 5 პროანუ 5%. ასე შემოვიღოთ ჩვენცა.

(*) ფრანკი ხუთი შაურია.

(*) ფრანკი ხომ ხუთი შაურია. ფრანკს აქვს 100 სანტიმი.

ено цензурою. Тифлисъ, 8-го іюля 1866 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ზ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.